საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5815
03/10/2022

5815-21-2-202210031440

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4325 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დამია-გიურარხში მდ. დებედას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი და დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- კორექტირებულ პროექტში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2022 წლის 4 ივლისის №21/3087 წერილში წარმოდგენილი შენიშვნა. ამდენად, კვლავ საჭიროებს დაზუსტებას, თუ რა უზრუნველყოფის წყლის ხარჯზეა დათვლილი საპროექტო ნაგებობა. კერძოდ, საკვლევ უბანზე საანგარიშო დატბორვის დონეები მოცემულია 3% უზრუნველყოფის ხარჯისათვის, ხოლო კალაპოტის წარეცხვის სიღრმეები დათვლილია 1% უზრუნველყოფის ხარჯისათვის. საჭიროა პროექტში მოცემული იყოს საანგარიშო უზრუნველყოფის შესაბამისი ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ასევე, ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული ფორმულები განმარტებული უნდა იყოს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით;
- ჰიდროლოგიურ ნაწილში, მე-2 ცხრილში, არასწორად არის მოცემული მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი და შესაბამისად, საანგარიშო ხარჯის გამოთვლის მეთოდი. აუზის ფართობი შეადგენს არა 3,92 კვ.კმ-ს, არამედ 3920 კვ.კმ-ს. ამდენად, წყლის საანგარიშო ხარჯი უნდა გამოითვალოს სპეციალური რეგიონული ფორმულით, რომელიც გათვალისწინებულია 400 კვ.კმ-ზე მეტი ფართობის მქონე წყალშემკრები აუზის მდინარეებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო